

შპს „საქართველოს ველები“

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს "საქართველოს ველები"				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
ერთეული: 1 GEL				
	საანგარიშგებო თარიღი			
	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020	შენიშვნა
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	463463	101361	240773	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2302678	1842239	1610763	
სხვა პირებზე ავანსებად და შესხებად გაცემული ფულადი სახსრები	210	299102	88014	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები			430876	
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა			430876	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	102711	145570	111780	3.2
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები	2351700	2080526		3.3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	5220762	4468798	2482206	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	32900	11300		
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	3708397	2453721	2283404	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	2419	1098		
საგადასახადო ვალდებულებები				
გამოუმუშავებელი შემოსავალი				
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	12415	2159	600	3.4
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1693531	1975632	234995	3.4
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	5449662	4443910	2518999	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	-228900	24888	79310	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	-228900	24888	79310	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5220762	4468798	2598309	
სულ მოკლევადიანი აქტივები	2869062	2388272	2482206	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	3756131	2468278	2284004	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 11.12.2023 წ.				
დირექტორი: _____ ზურაბ მარგველაშვილი				
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს "საქართველოს ველები"			
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2022	2021	
ნეტო ამონაგები	3084779	3762932	3.5
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	3084779	3762932	
- მომსახურების გაწევიდან			
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-2553270	-3179698	3.5
საერთო მოგება	531509	583234	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	113151		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-76239	-68934	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-57224	-22082	
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი	-79521	-35914	3.6
იჯარის ხარჯი	-17034	-17203	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-563861	-459523	3.7
სულ საოპერაციო ხარჯები	-680728	-603656	
საოპერაციო მოგება	-149219	-20422	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-158255	-33992	
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	56815	-8	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-250659	-54422	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	-250659	-54422	3.8
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-250659	-54422	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	24888	79310	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-3129		
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-228900	24888	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 11.12.2023 წ.			
დირექტორი: _____	ზურაბ მარგველაშვილი		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს "საქართველოს ველები"		
ფულადი ნაკადების ანგარიშგება		
	ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი	
	2022	2021
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1038493	133432
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-318208	-1979294
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-351681	1706281
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	368604	-139581
სავალუტო კურსის ეფექტი	-6502	169
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	101361	240773
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	463463	101361
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 11.12.2023 წ.		
დირექტორი: _____	ზურაბ მარგველაშვილი	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.		

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „საქართველოს ველები“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია დარეგისტრებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 2019 წლის 7 მარტს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 405323270, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ტ. ტაბიძის ქ. №57.

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის მფლობელები არიან ფიზიკური პირები:

ზურაბ მარგველაშვილი - 50% წილის მფლობელი;

გიორგი მარგველაშვილი - 50% წილის მფლობელი.

ეს ფიზიკური პირები იმავდროულად არიან კომპანიის დირექტორები.

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საქართველოში წარმოებული ღვინის გაყიდვა საზღვარგარეთ (ექსპორტი), ასევე მევენახეობა. ვენახების გაშენება წარმოებს ყვარლის რაიონში.

1.4. კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ აქვს შვილობილი, ერთობლივი ან მეკავშირე საწარმოები.

1.5. კომპანიის დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხვი შეადგენდა: 2021 წელს - 34 კაცს; 2022 წელს - 34 კაცს.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2019 წლიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია 2020 წლიდან წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული

კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება და შედეგების ასახვა ხდება პერსპექტიულად, ანუ იმ პერიოდში, როდესაც მოხდა სააღრიცხვო შეფასების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფას-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საეჭვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების

საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

ვენახები - 33-40 წელი;

ავეჯი - 10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა, საოფისე აღჭურვილობა - 4-5 წელი;

ინვენტარი, სპეციალური ინსტრუმენტები - 5-8 წელი;

ტრაქტორები და სასოფლო სპეცტექნიკა - 8-10 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომელთათვის ეს დებულება ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან (სადაზღვევო კომპანიებისათვის – 2024 წლის 1 იანვრიდან).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2022 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი; 1 EUR=2.8844 ლარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი; 1 EUR=3.5040 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2022 წელს: **1 USD=2.9137 ლარი; 1 EUR=3.0812 ლარი.**

2021 წელს: **1 USD=3.2170 ლარი; 1 EUR=3.8152 ლარი.**

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და მისი ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	18	18
ლარი საბანკო ანგარიშებზე	196515	69902
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	266930	31018
ევროები საბანკო ანგარიშებზე		423
სულ:	463463	101361

3.2. სხვა მოკლევადიანი აქტივები:

სხვა მოკლევადიანი აქტივები 2022 წლის ბოლოს შედგებოდა:

ჯამური ზედმეტობა ბიუჯეტის მიმართ - 102060 ლარი;

ზედმეტობა საპენსიო სააგენტოს მიმართ - 651 ლარი.

სულ - 102711 ლარი.

3.3. ძირითადი საშუალებები:

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

2022 წლის ბოლოს კომპანიის ძირითადი საშუალებები ძირითადად შედგებოდა სოფლის მეურნეობისთვის განკუთვნილი მოძრავი ტექნიკისაგან, რაც არ იბეგრება ქონების გადასახადით, და მშენებარე ვენახისაგან (ბიოლოგიური აქტივი). რაც ასევე არ იბეგრება ქონების გადასახადით. ვენახების გაშენება ხდება იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზე.

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	2022 წელი ზრდა ან შემცირება	2022 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	2021 წელი ზრდა ან შემცირება	2021 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
მშენებარე ვენახი და მასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებები	1788218	88996	13465	1712687	1716053	3366	0
სპეცტექნიკა სოფლის მეურნეობისთვის	557330	239402	43013	360941	262995	18157	116103
სხვა ძირითადი საშუალებები	6152		746	6898	7457	559	0
სულ:	2351700	328398	57224	2080526	1986505	22082	116103

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2022 წლის ბოლოს - 81 777 ლარი;

2021 წლის ბოლოს - 24 553 ლარი.

3.4. მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
მიღებული უპროცენტო სესხები დამფუძნებლებისაგან და ურთიერთდამოკიდებული იურიდიული პირებისაგან	12415	650
დარიცხული საპროცენტო ვალდებულება „თიბისი ბანკის მიმართ“	0	1509
შელავათიანი გრძელვადიანი სესხი (მექანიზაცია) „საქართველოს ბანკიდან“	581230	616029
შელავათიანი გრძელვადიანი აგროსესხი „თიბისი ბანკიდან“	1112301	1359603
სულ:	1705946	1977791

კომპანიამ 2021-2022 წლებში სარგებლობდა შემდეგი შეღავათიანი სესხებით:

„საქართველოს ბანკისგან“ სესხი (ტექნიკის შესყიდვაზე აღებული სესხი) - მთავრდება 31.12.2026-ში;

„თიბისი ბანკის“ სესხი (ვენახის გაშენებაზე) - მთავრდება 22.03.2026-ში;

დამფუძნებლებისაგან მიღებული უპროცენტო სესხები.

სესხების ათვისება ხდება ნაწილ-ნაწილ, საჭიროებისამებრ.

3.5. ნეტო ამონაგები:

2021-2022 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა საზღვარგარეთ (ექსპორტზე) გაყიდული ღვინის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან, ხოლო გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება არის მისი შესყიდვის ფასი (დღგ-ის გარეშე).

	2022 წელი	2021 წელი
ამონაგები ღვინის პროდუქციის გაყიდვიდან (ექსპორტი)	3084779	3762932
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	-2553270	-3179698
სულ მოგება რეალიზაციიდან:	531509	583234

ექსპორტის შემცირება გამოწვეულია საომარმა მოქმედებებმა უკრაინაში.

3.6. საპროცენტო ხარჯები:

2022 წელს, ბანკებისგან აღებულ შეღავათიან სესხებზე დარიცხულია პროცენტები 276 917 ლარი, მაგრამ იმის გამო, რომ ამ თანხის დიდი ნაწილი - 197 396 ლარი დაფარა სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტომ, კომპანიის ნეტო-საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 79 521 ლარი.

ანალოგიური სიტუცია იყო ასევე 2021 წელს: ბანკებისგან აღებულ შეღავათიან სესხებზე დარიცხული იყო პროცენტები 96 269 ლარი, მაგრამ იმის გამო, რომ ამ თანხის დიდი ნაწილი - 60 355 ლარი დაფარა სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტომ, კომპანიის ნეტო-საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 35 914 ლარი.

3.7. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული შრომის ანაზღაურების, იჯარის, პროცენტების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

	2022 წელი	2021 წელი
რეკლამის ხარჯები	-438128	-411471
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	-4447	-4854
საგადასახადო და საბაჟო ხარჯები	-16792	-7891
მიწოდების სხვა ხარჯები	-3269	-1929
საბანკო ხარჯები	-26126	-31594
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-75099	-1784
სულ:	-563861	-459523

3.8. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

კომპანიის 2022 წლის ზარალმა შეადგინა (250659) ლარი, ხოლო 2021 წელს მიღებული ზარალი იყო - (54 422) ლარი. 2020 წლის გაუნაწილებელი მოგების გათვალისწინებით და 2022 წელს წინა პერიოდის შეცდომის (3129) ლარით გასწორების გამო, 2022 წლის ბოლოს მდგომარეობით დაუფარავი ზარალის ნაშთი შეადგენს სულ (228 900) ლარს.

2021-2022 წლებში მიღებული მოგებიდან დივიდენდების განაწილება არ მომხდარა.

3.9. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დამფუძნებლების/დირექტორების ან სხვა ურთიერთდამოკიდებული პირების წინაშე არსებული ვალდებულებები პერიოდის ბოლოს:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
მიღებული უპროცენტო სესხი ზურაბ მარგველაშვილისგან	300	300
მიღებული უპროცენტო სესხი გიორგი მარგველაშვილისგან	300	300
მიღებული უპროცენტო სესხი ურთიერთდამოკიდებული იურიდიული პირისგან	11815	50
სულ:	12415	650

3.10. სასამართლო დავები:

კომპანიას 2021 და 2022 წლების განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონდა.

3.11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წლის 1 იანვრიდან 11 დეკემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას, არ მომხდარა.

3.12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება


წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2023 წლის 11 დეკემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	463463	101361	240773	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2302678	1842239	1610763	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	210	299102	88014	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები			430876	
მ.შ. - შპს პროდუქცია				
- სხვა			430876	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	102711	145570	111780	3.2
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები	2351700	2080526		3.3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	5220762	4468798	2482206	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	32900	11300		
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	3708397	2453721	2283404	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	2419	1098		
საგადასახადო ვალდებულებები				
გამოუმუშავებელი შემოსავალი				
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	12415	2159	600	3.4
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1693531	1975632	234995	3.4
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	5449662	4443910	2518999	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	-228900	24888	79310	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	-228900	24888	79310	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5220762	4468798	2598309	
სულ მოკლევადიანი აქტივები	2869062	2388272	2482206	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	3756131	2468278	2284004	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 11.12.2023 წ.

დირექტორი:  ზურაბ მარგველაშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2022	2021	
ნეტო ამონაგები	3084779	3762932	3.5
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	3084779	3762932	
- მომსახურების გაწევიდან			
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-2553270	-3179698	3.5
საერთო მოგება	531509	583234	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	113151		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-76239	-68934	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-57224	-22082	
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი	-79521	-35914	3.6
იჯარის ხარჯი	-17034	-17203	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-563861	-459523	3.7
სულ საოპერაციო ხარჯები	-680728	-603656	
საოპერაციო მოგება	-149219	-20422	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-158255	-33992	
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	56815	-8	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-250659	-54422	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	-250659	-54422	3.8
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
მირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-250659	-54422	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	24888	79310	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-3129		
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-228900	24888	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 11.12.2023 წ.

დირექტორი: _____ ზურაბ მარგველაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "საქართველოს ველები"


ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2022	2021
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1038493	133432
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-318208	-1979294
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-351681	1706281
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	368604	-139581
სავალუტო კურსის ეფექტი	-6502	169
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	101361	240773
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	463463	101361

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 11.12.2023 წ.

დირექტორი:



ზურაბ მარგველაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.